საქართველოსა და ბრიტანეთის ჰიდრონიმეგის ლინგვისტური თავისებურებანი

მანანა შელია
განათლების დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
ელ-ფოსტა: shelia.manana9@gmail.com
ORCID: https://orcid.org/0009-0008-4040-9675

მაია მარღანია
ფილოლოგიის დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
ელ-ფოსტა: maiko_margania@gail.com
ORCID: https://orcid.org/0009-0009-4300-2114

მაია ჩქვანავა
ფილოლოგიის დოქტორი, ცხუმ-აფხაზეთის
მეცნიერებათა აკადემიის უფროსი მეცნიერი-თანამშრომელი
ელ-ფოსტა: makochqva@gmail.com
ORCID: https://orcid.org/0009-0007-8452-124X

აბსტრაქტი. წინამდებარე სტატია საინტერესოა როგორც გეოგრაფებისა და ისტორიკოსების, ისე ლინგვისტებისთვისაც.

დედამიწის ჰიდრონიმები და მათ გარშემო არსებული ბუნებრივი სამყარო გეოგრაფიული გარემოს უმნიშვნელოვანესი ფაქტორებია. უძველესი პერიოდიდან ადამიანები ცდილობდნენ ჰიდრო-ობიექტების გასწვრივ დასახლებას და ბუნების პირობებთან ადაპტირებას.

საუკუნეების განმავლობაში ბრიტანეთისა და საქართველოს ჰიდრონიმების სახელწოდება მდიდარ ლექსიკას ქმნიდა. ჰიდრონიმებში მოიაზრება პელაგონიმები, ლიმნონიმები და პოტამონიმები - ესაა გეოგრაფიული სახელწოდებების უძველესი და სტაბილური ფენა. მემატიანეებისა და ისტორიკოსების მიერ ჰიდრონიმების შექმნა ფართოდ გავრცელებული ფენომენია, რომელიც ხანგრძლივ პერიოდს მოიცავს.

გეოგრაფიული სახელწოდებების ლექსიკა დროთა განმავლობაში შეიძლება შეიცვალოს. ტოპონიმების უმეტეს სახელწოდებასთან შედარებით, ჰიდრონიმები ენობრივად ძალიან კონსერვატიულია. ჰიდრონიმული სახელწოდებები ყველაზე სტაბილურია ენის ლექსიკურ ფონდში.

სტატია ეხება დიდი ბრიტანეთისა და საქართველოს ჰიდრონიმების ეტიმოლოგიურ და სემანტიკურ ანალიზს. ლინგვისტური ანალიზის მეთოდები, მაგალითად, ეტიმოლოგიური, სემანტიკური, მნიშვნელოვნად გვეხმარება გეოგრაფიული სახელების წარმომავლობის გარკვევაში. ეტიმოლოგიური მეთოდი, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია ტოპონიმიკაში, წამყვანია, რადგან ის ხელს უწყობს გეოგრაფიული სახელწოდების პირველადი მნიშვნელობის აღდგენას.

სტატიაში განხილულია ამ ორივე ქვეყნის ზღვების, ტბებისა და მდინარეების სახელწოდებათა წარმოშობა. აღწერილია იმ ჰიდრონიმთა ონომასტიკური ლექსიკა, რომლებმაც თავიანთი სახელი ბრიტანულ და ქართულ ენობრივ გარემოში მიიღეს. სტატია საშუალებას იძლევა, გავერკვეთ ბრიტანეთის კუნძულებსა და საქართველოს ტერიტორიაზე მდებარე ჰიდრონიმების გეოგრაფიულ, ისტორიულ და ლინგვისტურ ასპექტებში.

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ბრიტანული და ქართული ჰიდრონიმების ეტიმოლოგია აიხსნება კელტური და ქართული ენობრივი გარემოთი, რომელთა საფუძველზეც ჩამოყალიბდა საქართველოსა და ბრიტანეთის კუნძულების ჰიდრონიმია.

საკვანძო სიტყვები: ტოპონიმიკა, გეოგრაფიული გარემო, საქართველოსა და ბრიტანეთის ჰიდრონიმები, ლინგვისტური, ეტიმოლოგიური, სემანტიკური.

***

ნებისმიერი ენა მუდამ მოქცეულია ლინგვისტური, კერძოდ, ონომასტიკური კვლევების ყურადღების ცენტრში და მასში შემავალი სიტყვები წარმოადგენს საინტერესო ფაქტებისა და პროცესების სამყაროს, რომელთაც სპეციფიკური ლექსიკური თავისებურებები გააჩნიათ.

სახელთა სამყარო იდუმალებით მოცული რთული სისტემაა მრავალსაუკუნოვანი ისტორიით. თითოეული ენის ლექსიკაში საკუთარი სახელები ქმნიან სპეციალურ კატეგორიას, რომელსაც გააჩნია თავისი სპეციფიკური მახასიათებლები. საკუთარი სახელი არის კონკრეტული ენის ლექსიკური ელემენტი, რომელიც მიეკუთვნება შესაბამის ონიმურ ქვესისტემას და რომელიც გვაძლევს ტრადიციულ სემანტიკურ განმარტებას: ცალკეული ადამიანის, ადგილის და ა. შ. სახელს (Crystal, 2008, p. 392).

ცნობილია, რომ ლანდშაფტის მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, ადამიანებმა ადრეული პერიოდიდანვე დაიწყეს გეოგრაფიული ობიექტების, როგორც საკუთარი სახელების, დაჯგუფება.

რადგან ტოპონიმია გეოგრაფიული მეცნიერების მნიშვნელოვანი დარგია. ადგილმდებარეობათა სახელწოდებები ძვირფასი გეოგრაფიული იდენტიფიკატორებია, გეოგრაფიული ინფორმაციის დამუშავების, ინტერპრეტაციისა და გავრცელებისთვის საჭირო ინსტრუმენტებია (Parker 2001, p. 2).

აუცილებელია აღინიშნოს, რომ ტოპონიმები და მასში შემავალი ჯგუფები - **ოიკონიმები და ჰიდრონიმები** - კულტურული მემკვიდრეობის ნაწილია და ასევე ენის ელემენტებია, რომლებიც, როგორც საკუთარი სახელები, სპეციფიკურ ფუნქციებს ასრულებენ და გეოგრაფიულ ცნებებსა და მახასიათებლებს აღნიშნავენ. ჰიდრონიმია მდინარეების, ტბებისა და წყლის სხვა ობიექტების სახელწოდებებია.

სტატიის მიზანია საქართველოსა და ბრიტანეთის ჰიდრონიმების სისტემის ეტიმოლოგიური, სემანტიკური განხილვა. სტატიაში შესწავლილია საქართველოსა და ბრიტანეთის ჰიდრონიმები, გაანალიზებულია რამდენიმე ჰიდრონიმული სახელი და ტერმინი. წარმოდგენილია ჰიდრონიმების მნიშვნელობა, რომლებიც ვრცელ ინფორმაციას გვაწვდიან ამ ტერიტორიებზე მდებარე ზონებზე, ისტორიულ და ონომასტიკურ ცნობებსა და ლანდშაფტურ თავისებურებებზე. ასევე ნაშრომში განვიხილავთ სეხნია ტოპონიმებს და ფერის აღმნიშვნელ ჰიდრონიმებს. შესაბამისად, გეოგრაფიული სახელწოდებების ფორმირებისას, სახელდების ერთ-ერთი წამყვანი ობიექტი ფერია. ასევე ამ კვლევაში არის ჰიდრონიმების -ზღვების, მდინარეებისა და ტბების სახელების ლინგვოკულტურული ანალიზის მცდელობა სემანტიკური და ლინგვოკულტურული ასპექტის გათვალისწინებით.

საინტერესოა, რომ ჰიდრონიმების როლი მნიშვნელოვანია მსოფლიო ხალხთა ცივილიზაციაში, ქალაქების, სოფლებისა და რეგიონების სახელწოდებების დიდი რაოდენობა ჰიდრონიმებიდან მომდინარეობს ან - პირიქით.

დედამიწაზე მრავალი სეხნია ტოპონიმია, კერძოდ კი, **ოიკონიმები** და **ჰიდრონიმები,** რომლებსაც იგივე სახელწოდება აქვთ.

როგორც ცნობილია, სეხნია ტოპონიმების წარმოშობის მიზეზები საუკუნეების განმავლობაში ევროპის კონტინენტიდან სხვა კონტინენტებზე ხალხთა გადასახლებისა და მიგრაციის შედეგი იყო. ასე მაგალითად: ქალაქი **ლონდონი-London** (მდებარეობს ინგლისში, აშშ-ში, კანადაში, ავსტრალიასა და ახალ ზელანდიაში - მსოფლიოში სულ 29 ლონდონია), **კემბრიჯი (Cambridge)** მდებარეობს ინგლისში, ავსტრალიაში, კანადასა და ახალ ზელანდიაში, მდინარეები **ტემზა (River Thames), სე-**

ვერნი (River Severn), ტრენტი (River Trent) და ა. შ. ინგლისის გარდა, გვხვდება ჩრდილოეთ ამერიკაშიც.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ტერიტორიაზეც უამრავი სეხნია ტოპონიმია (ოიკონიმები და ჰიდრონიმები) როგორც აღმოსავლეთში, ასევე დასავლეთ ნაწილში. არსებობს სამეგრელოსა და აფხაზეთის ორ ათეულზე მეტი სოფელი, რომლებსაც მსგავსი სახელები აქვთ: მაგალითად: **ახალდაბა** ოჩამჩირის რაიონში და ასევე ახმეტის, მცხეთის, ბორჯომის მუნიციპალიტეტებში და ა. შ. **სოფელი ილორი** ოჩამჩირის რაიონში, აფხაზეთში და იმავე სახელწოდების სოფელი სამტრედიის რაიონში, **მდინარე რეკა** ოჩამჩირის რაიონსა და სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარის სენაკის მუნიციპალიტეტში.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის გულრიფშის მუნიციპალიტეტის წებელდის თემში მდინარე კელასურის ხეობაში მდებარეობს სოფელი კელასური. „640-662 წლებში ეგრისის სამეფო ხან სპარსელებს იწვევდა ბიზანტიელების წინააღმდეგ, ხან - პირიქით. კელასურის დიდი კედელიც მაშინ ააშენეს ბერძნებმა სპარსელების შესაჩერებლად. ,,კლისურა'' ბერძნული სიტყვიდან მომდინარეობს და ვიწრობს ნიშნავს, სწორედ ასეთ ვიწრობებშია აგებული კედელი. მდინარესაც აქედან ეწოდა კელასური“ (ცხადაია და ხორავა, 2016, გვ. 79).

სეხნია ოიკონიმები და ჰიდრონიმები მრავალია აფხაზეთის ტერიტორიაზე. ასე მაგალითად: მდინარე მაჭარა და სოფელი მაჭარა, მდინარე ბესლეთი და სოფელი ბესლეთი, მდინარე ოქუმი და სოფელი ოქუმი, მდინარე კოდორი და ქედი კოდორი. სოფელი გუმისთა და მდინარე გუმისთა, ქალაქი გაგრა და გაგრის ქედი. მდინარე გაგრიფში - გაგრის წყალი და ა. შ.

გაგრა აფხაზეთის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული კურორტია კავკასიის შავი ზღვის სანაპიროზე. შუა საუკუნეებში მას ,,გაგარი'' ეწოდებოდა, რაც ძველ ქართულში ,,ხეობაში ვიწრო გასასვლელს'' ნიშნავდა. ქართულ წყაროში პირველად მოხსენიებულია XIV საუკუნეში. იტალიურ და კატალონიურ რუკებზე აღნიშნულია **Cacary, Chachari/Cacr/ Chatari** ფორმით. გაგრას ჩრდილო-დასავლეთით **მდინარე გაგრიფში** (აფხ**.** გაგრის წყალი) საზღვრავს. ამ მდინარის შესართავში გვიანდელ ანტიკურ ხანაში ციხესიმაგრე აუგიათ, რომელიც შუა საუკუნეებშიც გამოიყენებოდა. ციხესიმაგრის ტერიტორიაზე დგას V-VI საუკუნეების სამნავიანი ბაზილიკა, რომელიც XX საუკუნეში აღადგინეს (ცხადაია და ხორავა, 2016, გვ. 39-40).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სეხნია ტოპონიმები შეიძლება მოიპოვებოდეს ბრიტანეთის ტერიტორიაზეც და სხვადასხვა კონტინენტზეც. **ტვიდი (Tweed)** ბუნებით საოცრად ლამაზი რეგიონია ჩრდილოეთ ინგლისში, სადაც მიედინება **მდინარე ტვიდი (River Tweed)** და მდებარეობს **ტვიდის ველი.**

როგორც ცნობილია, **ტვიდი** (**Tweed)** შალის ქსოვილია, თუმცა, ამ შესანიშნავი მასალის გამოჩენამდე დიდი ხნით ადრე არსებობდა მდინარე ტვიდი (The Tweed River). სიტყვა „ტვიდის“ წარმოშობა დღემდე საკამათოა. ზოგი მიიჩნევს, რომ ის მომდინარეობს შოტლანდიური სიტყვიდან ''**tweel“**, რაც ქსოვილის დიაგონალურ ქსოვას აღნიშნავს, ზოგის აზრით კი, ლონდონელი ვაჭრის ისტორიას უკავშირდება. სახელი ტვიდი უბრალო შეცდომამ წარმოშვა: ლონდონელმა ვაჭარმა არასწორად წაიკითხა შოტლანდიელი ქსოვილების გამყიდველის ხელნაწერი, რომელიც „ტვილს“ –''tweel“ უწევდა რეკლამირებას. მან იფიქრა, რომ მასში მდინარე ტვიდი იყო ნახსენები, რომელიც შოტლანდიის ტექსტილის ცენტრში - შოტლანდიის საზღვრებში - მიედინება და ქსოვილს ახალი სახელწოდებით - „ტვიდ“ – ''Tweed'' რეკლამირება გაუწია. ამგვარად, არასწორი ინტერპრეტაცია მემკვიდრეობად იქცა.

მდინარე ტვიდი (River Tweed, შოტლ. (გაელური) Uisge Thuaidh), ინგლისსა და შოტლანდიას შორის სასაზღვრო რეგიონში მიედინება, რომელზეც მდებარეობს ქალაქი **ბერიკ-აფონ-ტვიდი** (**Berwick-upon-Tweed),** ცნობილი, როგორც **Berwick-on-Tweed,** ან უბრალოდ **Berwick** და ასევე სამ-

რევლო ნორთუმბერლენდში. ადრე, ამ ქალაქის ადგილზე დაარსებული იყო ანგლოსაქსური დასახლება. ქალაქი შედიოდა ნორთუმბრიის სამეფოში, რომელიც X საუკუნეში ინგლისმა შეიერთა.

ირლანდია მდებარეობს ამავე სახელწოდების კუნძულზე (ევროპაში სიდიდით მესამე), ატლანტის ოკეანის ჩრდილოეთ ნაწილში.

ძვ. წ. 2000 წლისთვის კუნძულზე საბოლოოდ ჩამოყალიბდა კელტური წარმოშობის ხალხი. თანამედროვე ირლანდიელები ამ ხალხის შთამომავლები არიან. ინდოევროპელი კელტები ირლანდიაში ძვ. წ. VII საუკუნეში, რკინის ხანაში დასახლდნენ. რომის იმპერია მათ ''Galli'' - „გალებს" - „ბარბაროსებს" უწოდებდა, რომელთა წინააღმდეგაც ისინი მრავალ სამხედრო კამპანიაში მონაწილეობდნენ.

კვლევებით დადგენილია, რომ ირლანდიის მრავალი სახელი და მნიშვნელობა არსებობს: **Éire, Erin, the Emerald Isle, the Republic, Land of Saints and Scholars** (Rogers, 2016). ქვეყნის სახელი Ireland-ირლანდია წარმოშობილია სიტყვიდან **Eire,** რომელიც მომდინარეობს **Éiriu**-დან, რაც თავის მხრივ, სათავეს იღებს პროტოკელტური **Iweriu, Iweri**-დან, რაც ,,ნაყოფიერ მიწას" ნიშნავს. რომაელები მას ჰიბერნიას (Hibernia) ან ივერნიას (Ivernia) უწოდებდნენ, რომელიც შესაძლოა მიუთითებდეს ირლანდიელთა წინაპრების კავშირზე პირენეის ნახევარკუნძულის უძველეს მოსახლეებთან - იბერიელებთან. ბრიტანეთის კუნძულების პირველ მაცხოვრებლებს **იბერიელები (ან იბერები)** უწოდეს.

ირლანდიის მრავალი ტოპონიმი შეიცავს ღმერთებისა და ქალღმერთების სახელებს. ირლანდიურ მითოლოგიაში ცნობილია სამი ქალღმერთი და - **ფოლა (Fola), ბანბა (Banba)** და **ეირიუ (Éiriú)** მალე ერთ-ერთმა მათგანმა **ეირიუმ (Éiriú)** მოისურვა ფუტკრის დედოფალი გამხდარიყო და ქვეყნისთვის თავისი სახელი დაერქმია (Rogers, 2016).

მაშასადამე, სიტყვა **Éire** სავარაუდოდ, ძველი ირლანდიური სიტყვიდან **Éiru**-დან მომდინარეობს, რომელიც ითვლება ირლანდიის ნაყოფიერების, კეთილდღეობისა და სიუხვის, ასევე კელტური პანთეონის ერთ-ერთ უზენაეს ქალღმერთად.

ირლანდიას ულამაზესი მწვანე ბუნების, თვალწარმტაცი პეიზაჟებისა და მომხიბვლელი სანაპირო ზოლის გამო შეარქვეს ზურმუხტისფერი კუნძული'' (Emerald Isle).

სიტყვა **emerald** - გამოჩნდა ინგლისურ ენაში 1300 წელს, იგი შემოვიდა ძველი ფრანგულიდან **emeraude** XII საუკუნეში. თავდაპირველად ეს სიტყვა მომდინარეობდა ებრაულიდან (ან სხვა მონათესავე სემიტური ენიდან, როგორიცაა აქადური barraqtu); სიტყვა **bareket** ბერძნულში შევიდა როგორც **smaragdos,** რომელიც ლათინურმა ენამ ისესხა როგორც **smaragdus.** საბოლოოდ, საშუალო ლათინურში მიიღო ფორმა *esmaraldus.* https://languagehat.com

XVIII საუკუნის ირლანდიელი პოეტი უილიამ დრენანი (William Drennan) პირველი იყო, ვინც ირლანდია ''ზურმუხტისფერ კუნძულად" – *Emerald Isle* მოიხსენია თავის ლექსში, სადაც ის აღწერს ირლანდიის სილამაზეს, მარადმწვანეს და ზურმუხტივით მბზინვარეს.

ირლანდიის ზღვა დედამიწის ქერქში ბოლო 20 000 წლის განმავლობაში მომხდარი ცვლილებების შედეგია. სავარაუდოდ, ირლანდიის ზღვა გრძელი მტკნარი წყლის ტბა იყო. ირლანდიის ზღვაში 50-ზე მეტი კუნძულია, მათ შორის ორი მთავარია: **მენის კუნძული** და **ანგლსი.** ირლანდიის ზღვას ზოგჯერ **მენის ზღვასაც** უწოდებენ.

საინტერესოა, რომ ჰიდრონიმების მრავალფეროვანი ბუნება, განსაკუთრებით წყლის სულებისა და ღვთაებების თაყვანისცემა სათავეს იღებს ადრეული ანტიკური პერიოდიდან. ჩრდილოეთის ხალხების მითოლოგიაში მდინარე მნიშვნელოვან როლს ასრულებს, რაც ადამიანთა სამყაროსა და ზებუნებრივს შორის კავშირის სიმბოლოა.

მდინარე სევერნი (Severn) დიდი ბრიტანეთის ყველაზე გრძელი მდინარეა (354 კმ.) და ასევე მნიშვნელოვან წყალსავალ გზად ითვლება, რადგან ისტორიულად ის მთავარი სავაჭრო გზა იყო. მდ. სევერნი სათავეს იღებს უელსის შუაგულში - Wales, კამბრიის მთებში **(the Cumbrian Mountain)**,

პლინლიმონის **(Plynlimmon)** აღმოსავლეთ კალთაზე და ჩაედინება **ბრისტოლის არხში** (**Bristol Channel)**.

მდინარე სევერნი 15 000 წლის წინ ჩამოყალიბდა, როდესაც ჩრდილოეთ შროპშირის **(the North Shropshire)** ვაკეზე ყინული დნებოდა, რამაც **მდინარე დი**-დან (**the River Dee)** ახალი მარშრუტი შექმნა და მდინარე სევერნის სახელით გახდა ცნობილი.

დღემდე ბევრი ლინგვისტი კამათობს მდინარე სევერნის სახელწოდების წარმოშობაზე. თვლიან, რომ ის კელტური ენიდან მომდინარეობს. ზოგიერთი წყაროს თანახმად, ეს სახელი ფერია საბრინას მდინარეში დახრჩობის შესახებ მითიურ ისტორიას ეფუძნება.

მწერალი კლაუდია მერილი აღნიშნავს: ,,ერთ-ერთი მოსაზრების მიხედვით, სიტყვა „სევერნი“ (Severn) შესაძლოა დაკავშირებული იყოს ზღვის ფერია **საბრინას (Sabrina)** სახელთან (მისი ადრეული კელტური სახელწოდება, რომელსაც ზოგიერთი მეცნიერი სამაროსინად თვლის **Samarosina ან Samarina** ნიშნავს-*land of summertime fallow”* - ,,ზაფხულის გაორთქლილ ან მოხნულ მიწას''). გაურკვეველი მიზეზის გამო ნიმფა საბრინამ გადაწყვიტა ამ მდინარის ნაკადში დახრჩობა. ამ სახელწოდების ლათინიზირებული ფორმაა **Sabrina**, ხოლო უელსური ვარიანტია - **Afon Hafren** (უელსურად ნიშნავს ,,საზღვარს'' - ,,boundary''), რომელიც თარიღდება ჩ. წ. აღ-ით II საუკუნით.

სევერნის მახლობლად რომაული გალავანი აღმოაჩინეს, რაც იმას ნიშნავდა, რომ მდინარე რომაელებისთვის მნიშვნელოვანი იყო. სავარაუდოდ, სწორედ ამიტომ გადაწყვიტეს მათ მდინარის სახელი პირდაპირ ადგილობრივებისგან ეთარგმნათ და თან შეენარჩუნებინათ მასთან დაკავშირებული ლეგენდა.

უელსურად აფონ ჰაფრენი (Afon Hafren), მდინარე სევერნის ადგილობრივი სახელწოდებაა, რომელიც ლეგენდარულ პრინცესას უკავშირდება. იგი, როგორც ამბობენ, მის წყლებში ცხოვრობდა. სახელი ჰაფრენი პირველად XII საუკუნის „ბრიტანიის სამეფოს ისტორიაში“ ჯეფრი მონმაუთელმა ჩაწერა.

ჯეფრი მონმაუთელის ზღაპარში (Geoffrey of Monmouth's tale), ჰაფრენი (Hafren) იყო ბრიტანელთა მეფე ლოკრინის (King Locrin) ლამაზი, არაკანონიერი შვილი, რომელიც გაუჩნდა მას საიდუმლო მიჯნურის, გერმანელი პრინცესა ესტრილდისისგან (Estrildis).

მნიშვნელოვანია, რომ მოგვიანებით ჰაფრენი (Hafren) ამ მდინარის სახელად იქცა. მის ხსოვნას ინარჩუნებდნენ შემდგომი საუკუნეების პოეტები, როგორებიც არიან ედმუნდ სპენსერი „ფერიების დედოფალში“ (The Faerie Qweene) – (1590) და ჯონ მილტონი თავის პოემაში „საბრინა ფერია“ (Sabrina Fair) (1634), რომელმაც ის წყლის ნიმფად წარმოსახა. https://www.claudiamerrill.com

როგორც წესი, გეოგრაფიული ობიექტების დასახელებები „ხალხური ეტიმოლოგიის“ საშუალებით განიმარტებოდა. ამრიგად, ხალხური ეტიმოლოგია სევერნს ნიმფა საბრინას გამოსახულებასთან აკავშირებს, რომელიც, ლეგენდის თანახმად, მასში დაიღუპა (Mills, 2011, p. 532).

მდინარე სევერნის სეხნია ჰიდრონიმი მიედინება კანადაში, ონტარიოსა და მანიტობას პროვინციებში, ხოლო ჩრდილო-აღმოსავლეთით სევერნის ტბაში ჩადის. მდინარე საბოლოოდ ჰუდსონის ყურეში (Hudson Bay) ჩაედინება- *ფორტ სევერნის* სახელით ცნობილ ადგილას. ფორტ სევერნი (Fort Severn) მდებარეობს ზუსტად იქ, სადაც მდინარე სევერნი ჰუდსონის ყურეს (Hudson Bay) უერთდება. ის თავდაპირველად სავაჭრო პუნქტად XVII საუკუნეში, 1689 წელს დაარსდა. მდინარეს იყენებდნენ ბეწვის ვაჭრები, რომლებიც ყურესა და ვინიპეგის ტბას შორის მოგზაურობდნენ. მას სახელი ბრიტანეთის კუნძულებზე მდებარე მდინარე სევერნის მიხედვით ეწოდა. https://thecanadianencyclopedia.ca

ცხადია, ბუნებრივი სამყარო სხვადასხვა ფერებით არის სავსე. ფერთა აღმნიშვნელი ლექსიკა ხშირად გამოიყენება ტოპონიმებში გეოგრაფიული ობიექტის ფერთა მახასიათებლების გამოსახატავად.

უძველესი დროიდან დედამიწაზე არსებული ფერთა აღმნიშვნელი ჰიდრონიმები ქმნიდა მდიდარ ლექსიკას. წყალი ირეკლავს მწვანე და ფირუზისფერის კაშკაშა ელფერებს, რომლებიც დაკავშირებულია ბუნებრივ გეოგრაფიულ პირობებთან.

ლაჟვარდოვანი, თეთრი, შავი, ლურჯი, მწვანე და ფირუზისფერი ჰიდრონიმები საქართველოსა და ბრიტანეთის ბუნებას განსაკუთრებულ ელფერს აძლევს.

ჰიდრონიმებში ლურჯი (ცისფერი) ფერი ლანდშაფტის, ბუნებრივი პეიზაჟებისა და გარემოს რეალური ანარეკლია. ცისფერი წყლის ტბები წყალმცენარეებისა და სხვა ნივთიერებების დაბალ კონცენტრაციას შეიცავს, რაც მათ მაღალ გამჭვირვალობასა და მუქ ლურჯ ფერს ანიჭებს. ზოგიერთი თვლის, რომ მდინარეებში, ტბებსა და ზღვებში წყლის ლურჯი ფერი განპირობებულია იმით, რომ წყალი სინამდვილეში ცას ირეკლავს.

აფხაზეთში, გაგრის მუნიციპალიტეტში მდებარე **ცისფერი (ლურჯი) ტბა** კარსტული წარმოშობისაა, ტბა ივსება მიწისქვეშა მდინარის წყლით და წვიმით. მრავალი ლეგენდა არსებობს ამ იდუმალ ტბაზე, მაგრამ ყველაზე პოპულარულია ცისფერთვალება მოხუცის ლეგენდა. ამ ლეგენდის თანახმად, ერთ დროს ამ ლურჯი ტბის ადგილზე იყო გამოქვაბული, რომელშიც ლურჯთვალება, თოვლივით თეთრი და გრძელწვერიანი მოხუცი განმარტოებით ცხოვრობდა. ის თავისი სიბრძნით, ცხოვრებისეული გამოცდილებით და სიკეთით გამოირჩეოდა. ერთ დღეს მოხუცს უცნობები ეწვივნენ გამოქვაბულში ღამის გასათევად. მან ისინი გულთბილად მიიღო, მაგრამ ხარბმა და ბოროტმა სტუმრებმა ის გაძარცვეს და სიცოცხლეს გამოასალმეს. ნაქურდალი საქონლის წაღებისას მოულოდნელად ძლიერმა წყლის ნაკადმა გამოქვაბულიდან გასასვლელი გადაკეტა და ისინი ხაფანგში აღმოჩნდნენ. ასე წარმოიქმნა მოხუცის ლურჯი თვალების მსგავსი ულამაზესი ლურჯი ტბა.

აბუდელაურის ფერადი ტბები მდებარეობს ხევსურეთში, მდინარე აბუდელაურის ხეობის თავში, ზღვის დონიდან 2600 მეტრზე. აბუდელაურის ტბები მოიცავს სამ ტბას - **მწვანე ტბა, ლურჯი ტბა** და **თეთრი ტბა.**

ბუნებაში ერთ-ერთი ყველაზე დომინანტური ფერია მწვანე, რომელიც სიცოცხლის, განახლების, ზრდისა და სიუხვის სიმბოლოა.

საქართველოში წყლის ობიექტების ზოგიერთი სახელწოდება შეიცავს მწვანე ფერის ზედსართავ სახელს. მწვანე ტბა მდებარეობს აჭარაში, ხულოს მუნიციპალიტეტში, არსიანის ქედის ჩრდილოეთ მხარეს. ტბა სუფთა და გამჭვირვალეა. .მწვანე ფერს ტბას ხშირი ტყე და გარემო აძლევს, რადგან წყალი ირეკლავს გარშემო არსებულ ხე-მცენარეებს, განსაკუთრებით უხვად არის ტბის ირგვლივ წიფლის ხეები.

ბრიტანეთის რელიეფი ჩრდილოეთით და დასავლეთით მთიანია და გამოირჩევა წყალუხვი ჰიდროგრაფიული ქსელით. ბრიტანეთის ჰიდრონომებში ასევე ვხვდებით თეთრ ფერს, მაგალითად, **Whitewater** მდინარეა შოტლანდიაში, ის ასევე ძალიან მოკლე მანძილზე მიედინება ნორთუმბერლენდში, ინგლისში და უერთდება მდინარე ტვიდს.

White Lough ასევე ცნობილი, როგორც **White Lake** მტკნარი წყლის ტბაა ირლანდიის ჩრდილოაღმოსავლეთით.

საქართველოში არის ერთი უცნაური ჰიდრონიმი, რომელიც წითელ ფერთანაა დაკავშირებული. ესაა მდინარე **წყალწითელა,** რომელიც მოედინება იმერეთში, ტყიბულისა და თერჯოლის მუნიციპალიტეტებში, სათავეს კი იღებს რაჭის ქედზე მდებარე მთა ნაქერალადან. საინტერესოა ასევე, რომ მას აქვს სეხნია ტოპონიმები: სადაც ახლა მოწამეთას მონასტერია, იქ ადრეული შუა საუკუნეების ციხე-ქალაქი წყალწითელა არსებობდა. ასევე მთა წყალწითელაც არსებობს იმერეთისა და სამცხე-ჯავახეთის მხარეში, ბაღდათისა და ახალციხის მუნიციპალიტეტების საზღვარზე, მესხეთის ქედზე.

მდინარე წყალწითელასთან დაკავშირებით ცნობილია ლეგენდა, რომ მას ასეთი სახელი ეწოდა ისტორიული ხრესილის ომის შემდეგ, რადგან წყალი ბევრი სისხლისგან წითლად შეიღება. მაგრამ გეოლოგების აზრით, როდესაც მდინარე ადიდდება, იმ წითელი მიწის ქანებს რეცხავს, რომლებიც ამ მდინარის გასწვრივ, სათავესთან, ოკრიბაში თითქმის ყველგანაა და წყალი წითელ ფერს იღებს.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სტატია საშუალებას იძლევა, გავერკვეთ ბრიტანეთის კუნძულებსა და საქართველოს ტერიტორიაზე მდებარე ჰიდრონიმების გეოგრაფიულ, ისტორიულ და ლინგვისტურ ასპექტებში.

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ბრიტანული და ქართული ჰიდრონიმების ეტიმოლოგია აიხსნება კელტური და ქართული ენობრივი გარემოთი, რომელთა საფუძველზეც ჩამოყალიბდა საქართველოსა და ბრიტანეთის კუნძულების ჰიდრონიმია.

ამრიგად, ჰიდრონიმების ეტიმოლოგიურ-სემანტიკური ანალიზი საშუალებას გვაძლევს, თვალ-ყური ვადევნოთ ამა თუ იმ ტერიტორიაზე ხალხთა ეთნიკურ და იგრაციულ პროცესებს, დასახლების გზებსა და მიმართულებებს ისტორიული მოვლენების ჭრილში.

გამოყენებული ლიტერატურა

ცხადაია, პ., ხორავა ბ. (2016). *აფხაზეთის გეოგრაფიული სახელწოდებანი.* თბილისი.

Crystal, D. A. (2008). *Dictionary of Linguistics and Phonetics.*sixth edition, Blackwell Publishing, p.: 392.

Merrill, C. *The Goddess of the River Severn* https://www.claudiamerrill.com

Mills, A. D. (2011). *A Dictionary of British Place Names* (Oxford Paperback Reference) /A. D. Mills [Rev. and expanded ed.]. Oxford: Oxford University Press, Current Online Version -2011 xxxvii – 532.

Parker, J.R. (2001).*The importance of Geographic Names in a Spatial Data Infrastructure.* New York, January 2001, pp.:1-6.

Rogers, M. (2016).*Ireland's many names and their meanings.* https://www.irishpost.com/life-style/irelands-many-names-and-their-meanings-90875

https://languagehat.com

https://thecanadianencyclopedia.